



# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 286

ქალაქი ქუთაისი 27 ივლისი 2016 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია  
„ქუთაისისათვის“ რეგისტრაციის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის  
№ 14 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 35-ე მუხლის მე-14 პუნქტის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქუთაისისათვის“ თავმჯდომარის, ს.გუგავას 2016 წლის 28 ივნისის №270-02 წერილობითი განცხადებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნის საფუძველზე:

### **მუხლი 1.** ცნობად იქნეს მიღებული, რომ:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქუთაისისათვის“ თავმჯდომარე, სამსონ გუგავა პირადი განცხადებით განთავისუფლებულია ფრაქციის თავმჯდომარის თანამდებობიდან.

/ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქუთაისისათვის“ თავმჯდომარის, ს.გუგავას წერილობითი განცხადება, ფრაქციის 2016 წლის 28 ივნისის სხდომის ოქმი, ფრაქციის წესდება და საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნა განკარგულების დედანს თან ერთვის/

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქუთაისისათვის“ თავმჯდომარედ არჩეულია საკრებულოს წევრი, დავით წიტაიშვილი.

**მუხლი 2.** ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეტანილ იქნეს „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქუთაისისათვის“ რეგისტრაციის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №14 განკარგულების 1-ლი მუხლის მე-4 პუნქტში ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქუთაისისათვის“ თავმჯდომარედ არჩეულია საკრებულოს წევრი, დავით წიტაიშვილი, რომლის შრომითი გასამრჯელო განისაზღვრება ქალაქ ქუთაისის საკრებულოს მიერ დამტკიცებული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარისათვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა № 11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაში შევიდეს 2015 წლის 1-ლი აგვისტოდან.